


ექსპერიმენტული ორთაბრობების ამოცანები


მექანიკა

ჩამოაგდეთ ბურთი გარკვეული სიმაღლიდან. ზედაპირზე დაცემის მერე იგი ჩამოგდების სიმაღლეზე ნაკლებ სიმაღლეზე ახტება. ჩაატარეთ ექსპერიმენტი და შეაფასეთ დაჯახებისას დაკარგული ენერჯია და გამოიკვლიეთ როგორაა იგი დამოკიდებული ბურთისა და ზედაპირის გვარობაზე.



ოპტიკა

გამჭვირვალე კონტეინერი გაავსეთ წყლით და მასში გახსენით შაქარი. დაელოდეთ ცოტა ხანი. თუ კონტეინერში ლაზერის სხივს გავატარებთ დავინახავთ რომ წრფის ნაცვლად მრუდე ტრაექტორია ექნება. შეისწავლეთ ეს მოვლენა და შეეცადეთ სხივის ტრაექტორია აღწეროთ მათემატიკური ფუნქციით



თერმოდინამიკა

აიღე ერთი მცირე ზომის და ერთი დიდი კონტეინერი. მცირე ზომის კონტეინერი მოათავსეთ დიდი ზომის კონტეინერში და მათ შორის სივრცე შეავსეთ სპირტით გაჟღენთილი სარეცხი ღრუბლებით. გარკვეული დროის შემდეგ შიდა კონტეინერის ტემპერატურა დაიკლებს. ახსენით ეს მოვლენა და შეისწავლეთ ასეთი მაცივრის ეფექტურობა. შეეცადეთ შეარჩიოთ ისეთი პარამეტრები რომ მიიღოთ რაც შეიძლება ცივი გარემო რაც შეიძლება დიდი ხნით.



ელექტრობა

ელემენტს მიამაგრეთ მაგნიტები ორივე მხრიდან და მოათავსეთ სპილენძის მავთულისაგან გაკეთებულ სპირალში. ელემენტი დაიწყებს სპირალის შიგნით მოძრაობას. აანყვეთ ეს სისტემა ისე რომ მიაღწიოთ მოძრაობის მაქსიმალურ სიჩქარეს. აანყვეთ ისეთი კონსტრუქცია რომ მოძრაობა უწყვეტად გრძელდებოდეს.

